სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 01-04/32 22.05. 2019 წ.

დამატებით (minor) პროგრამებზე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხულ სტუდენტთა განაწილების, მოდულის და არჩევითი საგნის არჩევის წესის შესახებ უნივერსიტეტის აკადემიური საჭოს 2017 წლის 10 ნოემბრის № 8 (17/18) დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნების პრაქტიკული განხორციელების ხელშესაწყობად

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს დამატებით (minor) პროგრამაზე სტუდენტთა ასათვისებელი ადგილების ოდენობა საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით:
2. 

**საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი**

| **დამატებით (minor) პროგრამაზე** | **ადგილების რაოდენობა** |
|---|---|
| საკვები პროდუქტების ტექნოლოგია და უვნებლობა | 40 |

3. სტუდენტთა ელექტრონულ (on-line) რეჟიმში რეგისტრაცია იწარმოებს უნივერსიტეტის ელექტრონული დეკანატის საიტზე 2019 წლის 20 მაისიდან 30 მაისის ჩათვლით, აწსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 10 ნოემბრის დადგენილება № 8(17/18) მოთხოვნათა გათვალისწინებით აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხულ სტუდენტთათვის დამატრბითი (minor) პროგრამებზე სტუდენტთა განაწილების, მოდულის და არჩევითი საგნის არჩევის წესის დამტკიცების შესახებ.
4. სტუდენტთა მიერ დამატებით (minor) პროგრამის, მოდულის და არჩევით საგნის არჩევა მოხდეს საკუთარი სურვილის გამოხატვის, თავისუფლების, გამჭვირვალობის და კონკურენციის პრინციპის დაცვით რექტორის ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისი ვაკანტური ადგილების მიხედვით.
5. დამატებით (minor) პროგრამის, მოდულის და არჩევითი საგნები (შესაბამისი კრედიტების ) განაწილება სემესტრების მიხედვით მოახდინონ მხოლოდ აკადემიური

საბჭოს მიერ დამტკიცებული აკადემიური პროგრამების სასწავლო გეგმების მიხედვით.

6. განსაკუთრებულ შემთხვევაში სტუდენტის რეგისტრაციის და ჩარიცხვის საკითხი ფაკულტეტის დეკანის წარდგენებით განხილული იქნას უნივერსიტეტის რექტორთან.
7. ელექტრონული დეკანატის ადმინისტრატორს დაევალოს დამატებით (minor)პროგრამაზე, მოდულებზე და არჩევით საგნებზე ჩარიცხულ სტუდნტთა ელექტრონულ დეკანატში ასახვა.
8. სტუდენტთა ელექტრონული რეგისტრაციის შედეგების შესახებ ინფორმაციის საფუძველზე, აწსუ სასწავლო პროცესის მართვის სამსახური და ელექტრონული დეკანატის ადმინისტრატორი უზრუნველყოფს კონკურსის ჩატარებას აწსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 10 ნოემბრის დადგენილება № 8(17/18) მოთხოვნებისა და ცალკეულ პროგრამაზე არსებული ვაკანტური ადგილების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი და ელექტრონული დეკანატის ადმინისტრატორი კონკურსის დასრულებისთანავე შემოდის რექტორატში შესაბამისი ბრძანების პროექტით.
9. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე განახორციელოს რექტორის მოადგილემ ასოც. პროფ. შალვა კირთაძემ.
10. კანცელარიის უფროსმა (ქ.ნ ეთერ ცირეკიძე) ბრძანება ვებ-გვერდზე განსათავსებლად გადასცეს მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურს (ასოც. პროფ. თ. ვალიშვილი.)

**საფუძველი:** საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის პროფ. მაია გრძელიძის სამსახურეობრივი ბარათი № 00594561; უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის 1 -ლი პუნქტის „კ" ქვეპუნქტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 53-ე მუხლის მე-2 „კ" ქვეპუნქტი დამატებითი (minor) პროგრამის, მოდულისა და არჩევითი საგნის არჩევის უფლების შესახებ და აწსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 10 ნოემბრის დადგენილება № 8(17/18) აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხულ სტუდენტთათვის დამატებითი (minor) პროგრამებზე სტუდენტთა განაწილების, მოდულის და არჩევითი საგნის არჩევის წესის დამტკიცების შესახებ.

რექტორი პროფ. როლანდ კოპალიანი

სასწავლო პროცესის მართვის

სამსახურის უფროსი პროფ. ი . ბასილაძე